ხიდბოგირებისა და ხიდების მოწყობა აღდგენა-რეაბილიტაციის სამუშაოების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა

აღნიშნული მომსახურება გულისხმობს საავტომობილო გზებზე ახალი სახიდე გადასასვლელების მშენებლობას თვით ხიდის (გზაგამტარის, ვიადუკის, ესტაკადის და სხვა), მისასვლელი გზებისა და სარეგულაციო და დამცავი ნაგებობების (წყლის წინაღობის (მდინარე, ღელე, ტბა და სხვა) არსებობის შემთხვევაში) ჩათვლით.

საქართველოში მოქმედი ტექნიკური რეგლამენტებისა და სტანდარტების მოთხოვნებიდან გამომდინარე, მიმწოდებლის მიერ განისაზღვრება საჭირო ჩასატარებელი სამუშაოების სახეობები და მათი მოცულობები, კონკრეტულ ობიექტზე.

საველე საკვლევაძიებო სამუშაოების ჩატარების შედეგად მიღებული უნდა იქნას სახიდე გადასასვლელის რაიონის ტოპოგრაფიული, საინჟინრო-გეოლოგიური პირობები, გადასაკვეთი მდინარის (ხევის) ჰიდროგეოლოგიური რეჟიმისა და კალაპოტური პროცესების (მორფომეტრიული) მონაცემები, ასევე გადასასვლელის მშენებლობისათვის საჭირო სამშენებლო მასალების არსებობისა და სხვა აუცილებელი ინფორმაციები, რომლებიც საჭიროა მშენებლობის ორგანიზაციის პროექტისა და ხარჯთაღრიცხვის შესადგენად.

ობიექტების პროექტირება მოიცავს საველე საკვლევაძიებო (ტოპოგეოდეზიური, გეოლოგიური, ჰიდროლოგიური და სხვა) სამუშაოებს, საველე მონაცემების კამერალურ დამუშავებას და პროექტირებას. ამისათვის მიმწოდებელი ვალდებულია:

- ყოველი კონკრეტული „ხიდების მშენებლობა“-ის სამუშაოებისათვის საჭირო საპროექტო მომსახურება განახორციელოს ”საქართველოს საავტომობილო გზების საგზაო სამუშაოების კლასიფიკაციის ტექნიკური რეგლამენტი”-ს შესაბამისად (საუწყებო სამშენებლო ნორმები დამტკიცებული საქართველოს მთავრობის 2013 წლის 10 ივლისის #172 დადგენილებით) და ყოველ კონკრეტულ ობიექტზე საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შესადგენად გაცემული დეტალური ტექნიკური დავალებით განსაზღვრული მოთხოვნებით, ასევე ხელშეკრულების პირობებით;
- მშენებლობის ორგანიზაციის პროექტი უნდა მოიცავდეს სამუშაოთა წარმოების გეგმა-გრაფიკს, რომლითაც განისაზღვრება მშენებლობის მიახლოებითი ვადები;
- ობიექტის სავარაუდო ღირებულების განმსაზღვრელი სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია უნდა იყოს შედგენილი რესურსული მეთოდით (ჩაშლილი ექსელის ფაილში);
- აუცილებლობის შემთხვევაში საკვლევაძიებო და საპროექტო სამუშაოების შესრულებისათვის მოახდინოს დაინტერესებულ ორგანიზაციებთან და პირებთან პროექტების საჭირო წინასწარი შეთანხმებები.

დავალების შესრულების წესი:

კონკრეტული ობიექტების პროექტების შედგენის ვადები განისაზღვრება შემსყიდველის მიერ მიმწოდებელზე წერილობითი შეტყობინებით, სადაც მითითებული იქნება სამუშაოს დასახელება, დაწყების და დასრულების ვადები. ვადების დარღვევასთან დაკავშირებული საჯარიმო სანქციები განსაზღვრულია ხელშეკრულების 10.1 პუნქტით.

1. მომსახურეობის ძირითადი სახეობები

- საველე საკვლევაძიებო და კამერალური სამუშაოები;
- საპროექტო სამუშაოები (ტექნიკური გადაწყვეტილებები და მშენებლობის ორგანიზაცია):
  ა) განმარტებითი ბარათი;
  ბ) საინჟინრო-გეოლოგიური და ჰიდროლოგიური დასკვნები;
  გ) სამშენებლო სამუშაოების მოცულობები და უწყისები;
  დ) სახიდე გადასასვლელის ყველა შემადგენელი ნაწილის (ხიდი, სარეგულაციო ნაგებობები და მისასვლელები) კონსტრუქციული ელემენტებისა და კვანძების ზოგადი და დეტალური ნახაზები;
  ე) მშენებლობის ორგანიზაციის პროექტი;
- სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადება და ობიექტების სავარაუდო ღირებულების დადგენა;
- გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის მომზადება;
- განსახლების სამოქმედო გეგმის დამუშავება.

შენიშვნა: პროექტი ასევე უნდა ითვალიწინებდეს დასრულებული ხიდის ექსპლოატაციაში გადაცემამდე სტატიკურ და დინამიურ დატვირთვაზე გამოცდას, რასაც ითვალისწინებს ტექნიკური რეგულაციები.

2. საჭიროების შემთხვევაში დამატებითი მომსაახურება:

- ხარჯთაღრიცხვების გადაანგარიშება;
- პროექტის კორექტირება;
- სამშენებლო მონაკვეთის განთვისების ზოლის (ბუფერის) სახელმწიფო ტყის ფონდის საზღვრებთან ზედდების შემთხვევაში ტყის ფონდიდან ტერიტორიის ამორიცხვა, საქართველოს მთავრობის 20.08.2010 წ. #242 „ტყით სარგებლობის წესის დამტკიცების შესახებ“ დადგენილების შესაბამისად;
- საქართველოს „წითელი ნუსხით“ დაცული ფლორისა და ფაუნის სახეობების გამოვლენა;
- საქართველოს „წითელი ნუსხით“ დაცული ხე-მცენარეების არსებობის შემთხვევაში, ხე-მცენარეების ბუნებრივი გარემოდან ამოღების უფლების მოპოვების მიზნით, შესაბამისი დოკუმენტაციის წარმოდგენა (საქართველოს მთავრობის #42 დადგენილების და საქართველოს კანონი „წითელი ნუსხისა და წითელი წიგნის შესახებ“ შესაბამისად);

- წითელი ნუსხით დაცული ხე-მცენარეების არსებობის და მათი მოჭრის აუცილებლობის შემთხვევაში წინასწარ მომმზადდეს „საქართველოს წითელი ნუსხით“ დაცული ხე-მცენარეთა სახეობების ბუნებრივი გარემოდან ამოღებით ბიომრავალფეროვნებისათვის მიყენებული ზიანის საკომპენსაციო ქმედებების პაკეტი (საკომპენსაციო გეგმა).

ტექნიკური სპეციფიკაციები

პროექტირება უნდა ჩატარდეს ორ ეტაპად:

1. ტექნიკურ-ეკონომიკური შედარება (ტეშ);
2. სამუშაო დოკუმენტაციის მომზადება (სდ);

„ტექნიკურ-ეკონომიკური შედარება“-ის (ტეშ) სტადიაზე უნდა შესრულდეს საინჟინრო-გეოდეზიური, საინჟინრო-გეოლოგიური და საინჟინრო-ჰიდროლოგიური კვლევა-ძიება იმ მოცულობით, რომ საკმარისი იყოს პრინციპული და ტექნიკური გადაწყვეტილებების მისაღებად, სახიდე გადასასვლელის ვარიანტებისათვის (არანაკლებ 3 ალტერნატიული ვარიანტი) სამუშაო ნახაზების შესადგენად და ობიექტების სავარაუდო ღირებულების განსასაზღვრავად.
სახიდე გადასასვლელის ტრასის ადგილმდებარეობის დანიშვნა უნდა მოხდეს შემდეგი მოთხოვნების გათვალისწინებით:

ა)მდინარის კალაპოტის მონაკვეთი სახიდე გადასასვლელის ადგილზე შეძლებისდაგვარად უნდა იყოს სწორხაზოვანი, ან თანაბრად უნდა უხვევდეს (გეგმაში ხიდი არ უნდა იყოს სწორისა და მრუდის შეერთების ადგილზე) გადასასვლელის უბანზე მდინარის დინების მიმართულება კალაპოტსა და რიყეზე უნდა იყოს პარალელური და მცირედ იცვლებოდეს წყლის დონის ცვლილებისას;

ბ) სახიდე გადასასვლელი შესაძლებლობის ფარგლებში უნდა განთავსდეს წყლის საანგარიშო ხარჯის პირობებში მდინარის დინების მართობულად;

გ) სახიდე გადასასვლელი (შესაძლებლობის ფარგლებში) უნდა განთავსდეს იქ სადაც მდინარის რიყეები ვიწროა, ნაპირები განლაგებულია მაღალ ნიშნულებზე, ხეობა არ არის დაჭაობებული და არ არის ტბები;

ზემოთ აღნიშნული და ტექნიკური რეგულაციებით და სტანდარტებით გათვალისწინებული სხვა მოთხოვნების, გარემოსდაცვითი და არსებობის შემთხვევაში განსახლების საკითხების გათვალისწინებით უნდა შემუშავდეს სახიდე გადასასვლელის არანაკლებ სამი ვარიანტი, რომელთაგან ტექნიკურ-ეკონომიკური შედარებების საფუძველზე შეირჩევა ერთი საუკეთესო, დეტალური პროექტის შესადგენად; მიმწოდებლის მიერ მომზადებული ტექნიკურ-ეკონომიკური შედარებების შემსყიდველთან განხილვისა და დასაპროექტებელი ტრასებისა და ხიდის სქემების შეთანხმების შემდგომ, უნდა შესრულდეს შერჩეული სახიდე გადასასვლელის

დაპროექტებისათვის საჭირო საველე, ლაბორატორიული და კამერალური სამუშაოები (დეტალური პროექტირებისათვის საკმარისი მოცულობით, რომელიც განისაზღვრება საქართველოში მოქმედი ტექნიკური რეგულაციებითა და სტანდარტებით) საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შესადგენად.
„სამუშაო დოკუმენტაცია“-ს (სდ) სტადია (საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო) უნდა მოიცავდეს:
ა) განმარტებით ბარათს;
ბ) საინჟინრო გეოლოგიურ და ჰიდროლოგიურ დასკვნას;
გ) სახიდე გადასასვლელის ყველა შემადგენელი ნაწილის (ხიდი, სარეგულაციო ნაგებობები და მასალები) კონსტრუქციული ელემენტებისა და კვანძების ზოგად და დეტალურ ნახაზებს;
ე) მშენებლობის ორგანიზაციის პროექტი (ПОС);
ვ) სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციას;
ზ) გარემოსდაცვითი მართვის გეგმას;
თ) განსახლების სამოქმედო გეგმას;
ი) საპატრულო პოლიციის დეპარტამენტთან შეთანხმებული და მათ მიერ დამოწმებული მოძრაობის ორგანიზაციის სქემა.

საინჟინრო გეოლოგიური კვლევის საორიენტაციო სამუშაოები
საინჟინრო-გეოლოგიური სამუშაოების შემადგენლობა და მოცულობები დამოკიდებულია საკვლევაძიებო რაიონის პროექტირების სტადიაზე, საინჟინრო-გეოლოგიური პირობების სირთულეზე, ხიდის კონსტრუქციასა და მათ ზომებზე, მისასვლელების კონსტრუქციულ ხასიათზე, რამპის კედლების განლაგებაზე.

საინჟინრო-გეოლოგიური კვლევა-ძიების შედეგები უნდა შეიცავდეს მონაცემებს, რომლებიც აუცილებელია განაპირა და შუალედი ბურჯების საფუძვლებისა და საძირკვლების ტიპების შესარჩევად, მათი ჩაღრმავებისა და ზომების განსასაზღვრავად მშენებლობისა და ექსპლოატაციის პროცესში საინჟინრო-გეოლოგიური და ჰიდროგეოლოგიური პირობების შესაძლო ცვლილებების გათვალისწინებით. განაპირა და შუალედური ბურჯების საძირკვლების სამუშაო ნახაზებზე დატანილი უნდა იქნას საინჟინრო-გეოლოგიური ჭრილები.

საველე საინჟინრო-გეოლოგიური სამუშაოების წარმოებისას სახიდე გადასასვლელების ყველა ელემენტის პროექტირების დროს უნდა გაყვანილი იქნას დაზვერვითი საინჟინრო-გეოლოგიური ჭაბურღილები, გაითხაროს შურფები (შესაძლებლობის ფარგლებში). ასევე შესაძლებელია გეოფიზიკური და საველე საგამოცდო სამუშაოების ჩატარება. დაზვერვითი გამონამუშევრები (შურფები, ჭაბურღილები) და ზონდირების წერტილები უნდა განთავსდეს შეძლებისდაგვარად გზაგამტარების ღერძებზე.

ყოველ კონკურენტუნარიან ვარიანტზე უნდა იყოს არანაკლებ სამი გამონამუშევრისა (მათი რაოდენობა უნდა დაზუსტდეს კონკრეტული მდგომარეობიდან გამომდინარე სამშენებლო რეგულაციებისა და სტანდარტების მოთხოვნების მიხედვით).

ჭაბურღილების სიღრმე განისაზღვრება საძირკვლების გაანგარიშებისათვის საჭირო მონაცემების მიღების პირობიდან მათი დაყრდნობის ზონიდან 5-10 მეტრით დაბალ სიღრმეზე, რაც ამას გარდა უზრუნველყოფს ქვესაგებ გრუნტებზე საძირკვლების მდგრადობაზე გაანგარიშების შესაძლებლობას.

იმ შემთხვევაში, თუ არ არსებობს მონაცემები საძირკვლების საფუძვლებში კუმშვადი გრუნტების სისქის შესახებ, ჭაბურღილების სიღრმის განსაზღვრა დასაშვებია ცხრილით №37 სნდაწ 1.02.07-87 "საინჟინრო კვლევები მშენებლობისათვის" (ან სხვა, ანალოგიური დანიშნულების დოკუმენტის შესაბამისად);

საძირკვლების დაყრდნობის ზევით არსებული ზონა საჭიროების შემთხვევაში უნდა იქნას გამოკვლეული (სტატიკური ზონდირებით) იმ მიზნით, რომ მიღებული იქნას მონაცემები გვერდითი ხახუნისა და გრუნტის შუბლური წინააღმდეგობის განსაზღვისათვის, გრუნტებში საძირკვლების უსაფრთხო ჩამაგრების სიდიდის გაანგარიშებისათვის. საძიებო ჭაბურღილების სიღრმე მარტივ პირობებში განისაზრვრება ასაშენებელი ობიექტების მდგრადობისათვის საჭირო ღონისძიებების დანიშვნის აუცილებლობის პირობებიდან, მაგრამ არ უნდა აღემატებოდეს მათ ერთნახევარ სამშენებლო სიმაღლეს. ჭაბურღილები ინიშნება ნაგებობის ღერძზე მანძილით არაუმეტეს 100-200 მეტრისა. გარდა ზემოთმოყვანილი მოთხოვნებისა, ხიდის სრული საინჟინრო-გეოლოგიური შესწავლა, უნდა განხორციელდეს სამშენებლო რეგულაციებისა და სტანდარტების დაცვით, სადაც განსაზღვრულია იმ სამუშაოთა სახეობები და მოცულობები, რომლებიც უნდა ჩატარდეს ტეგ-ისა და სდ-ს სტადიებზე მიმწოდებლის მიერ. საინჟინრო-გეოლოგიური კვლევაძიებით მიღებული მასალების საფუძველზე უნდა შედგეს ანგარიშები სახიდე გადასასვლელების ყველა ნაგებობის მდგრადობის უზრუნველყოფის დასკვნებითა და რეკომენდაციებით, მიწის ვაკისის მოსაწყობი გრუნტებისა და ადგილობრივი სამშენებლო მასალების მარაგებისა და მათი ხარისხების მონაცემებით.
საინჟინრო-გეოლოგიური კვლევებმა უნდა უზრუნველყოს ტრასის საინჟინროგეოლოგიური პირობების შესწავლა სამუშაოების სწორად დაგეგმვისათვის. ამისათვის საჭიროა შესრულდეს შემდეგი სახის სავარაუდო საკვლევაძიებო და ლაბორატორიული სამუშაოები:
ა) საპროექტო გზის საინჟინრო-გეოლოგიური კვლევა მექანიკური, სვეტური ბურღვის მეთოდით თითოეულ კილომეტრზე 3 განივი პროფილი 2 ჭაბურღილით _ სიღრმით არანაკლებ 3მ-სა. და გრუნტის ნიმუშების აღებით;
ბ) სახიდე გადასასვლელის სამი ალტერნატიული ვარიანტიდან, შერჩეულ ვარიანტზე, საინჟინროგეოლოგიური კვლევა მექანიკური, სვეტური ბურღვის მეთოდით თითოეულ ბურჯზე 3 განივი პროფილი 1 ჭაბურღილი - საპროექტო ნიშნულს ქვემოთ არანაკლებ 5 მეტრისა, გრუნტის ნიმუშების აღებით.
გ) ჭაბურღილებიდან აღებული გრუნტის ნიმუშების და მონოლითების ლაბორატორიული კვლევა და მათი შედეგების გაანალიზება;
დ) საპროექტო გზის საინჟინრო-გეოლოგიური აღწერა და ადრე ჩატარებული

გეოლოგიური სამუშაოების მასალების შესწავლა და გაანალიზება;
ე) წყალგამშვები მილების საფუძვლის შესწავლა ჭაბურღილების გაყვანის მეთოდით თითოეულ მილზე მინიმუმ 1 ჭაბურღილი, საპროექტო ნიშნულს ქვემოთ არანაკლებ 3 მეტრისა, გრუნტის ნიმუშების აღებით;
ვ) სახიდე გადასასვლელებზე ბურჯების ფუნდამენტების ტექნიკური მდგომარეობის შესწავლა;
ზ) საყრდენი კედლების ფუნდამენტების ტექნიკური მდგომარეობის შესწავლა;
თ) აღნიშნული მასალები დატანილ უნდა იქნას განივ და გრძივ პროფილებზე.

4. კამერალური სამუშაოები.

ა. სახიდე გადასასვლელის საინჟინრო-ტოპოგრაფიული გეგმა უნდა შედგეს გადასაღები ობიექტის ფართობის მიხედვით მასშტაბებში 1:500 (გადასაღები ფართობის 10 ჰა-მდე შემთხვევაში), 1:1000 (გადასაღები ფართობის 50 ჰა-მდე შემთხვევაში) და 1:2000 (გადასაღები ფართობის 50 ჰა მეტის შემთხვევაში). რელიეფის სიმაღლეზე კვეთები მიღებული უნდა იქნას რელიეფისა და სიტუაციური სირთულიდან გამომდინარე 0,5 და 1,0 მეტრი;

ბ. ტრასის გასწორხაზებული გეგმა გამოიხაზოს მასშტაბით 1:1000; 1;500

გ. სახიდე გადასასვლელის საინჟინრ ტოპოგრაფიული გეგმა უნდა შედგეს მაშტაბით 1:500, რელიეფის სიმაღლეზე კვეთები მიღებულ უნდა იქნას 0.5 მეტრი;

დ. გზის გრძივი პროფილი გამოიხაზოს გადაკვეთილი რელიეფის პირობებში მასშტაბში 1 : 2000 _ 1 : 200, ხოლო რთული რელიეფის პირობებში მასშტაბში 1 : 1000 _ 1 : 100;

ე. განივი პროფილები გამოიხაზოს რთული რელიეფის პირობებში მასშტაბში 1 : 100 სწორ ადგილებში მასშტაბში 1 : 200;

ვ. სიტუაცია ტრასის გეგმაზე და გრძივ პროფილზე დატანილ იქნას არსებული პირობითი ნიშნების შესაბამისად;

ზ. ხიდისა და სხვა ხელოვნური ნაგებობების ნახაზები უნდა შესრულდეს 1:200, 1:100, 1:50, 1:20, 1:10 და 1:5 მასშტაბებში:

თ. ყველა ნახაზზე უნდა იყოს აღნიშნული პასუხისმგებელი და შემსრულებელი პირების გვარები და მათი ხელმოწერები.

ადგილზე (ველზე) ჩატარებული ტოპო-გეოდეზიური და აზომვითი სამუშაოების შედეგების გაანალიზებისას, საჭირო გაანგარიშების ჩატარებისა და გრაფიკული ტექსტური მასალების დამუშავებას ოფისის პირობებში, ასევე საჭირო შეთანხმებების დოკუმენტების უზრუნველყოფას.

5. კუთვნილება

ამ მომსახურებასთან დაკავშირებული მომზადებული ნებისმიერი შესწავლა, ანგარიშები, გრაფიკული ან სხვა სახის მასალები ეკუთვნის შემსყიდველს და წარმოადგენს მის საკუთრებას ღია (სამუშაო) ფაილების
(Word, Excel, DWG, Dxf, Shp. და.სხვა) სახით

მიმწოდებელს არ აქვს ამ მასალების გამოყენების უფლება სხვა სამუშაოების შესასრულებლად შემსყიდველის წინასაწარი თანხმობის გარეშე.

მიმწოდებელი ვალდებულია გადასცეს შემსყიდველს საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო და სატენდერო პროცედურების ჩატარებასთან დაკავშირებული ტექნიკური დოკუმენტების სრული მოცულობის ელექტრონული PDF, DWG, Word, Dxf, Shp და Excel) ვერსია.

საპროექტო დოკუმენტაციის რაოდენობა

მიმწოდებელი ვალდებულია გადასცეს შემსყიდველს სრული საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია 4 ეგზემპლარად და მისი შესაბამისი ელექტრონული ვარიანტი. ელექტრონულ ვარიანტში ტექსტური დოკუმენტაცია (ხარჯთაღრიცხვა, განმარტებითი ბარათი და ა.შ.) უნდა იყოს დაბეჭდილი შრიფტით Sylfaen, ხოლო ნახაზები უნდა იყოს PDF ფორმატში, ამასთანავე, PDF ფორმატის თითოეული ფაილის ზომა არ უნდა აღემატებოდეს 7 მეგაბაიტს.

6. ტექნიკური დოკუმენტაციის ექსპერტიზა

დეტალური საპროექტო დოკუმენტაციის მომზადების შემდგომ, მიმწოდებელი ვალდებულია უზრუნველყოს მშენებლობის ნებართვის მისაღებად საჭირო ექსპერტიზის დასკვნის წარმოდგენა, რომელიც უნდა მოიცავდეს კონსტრუქციულ, საინჟინრო-გეოლოგიურ და საგზაო ნაწილებს. ექსპერტიზის დასკვნა გაცემული უნდა იქნას სსიპ „ლევან სამხარაულის სახელობის ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს" ან აკრედიტირებული ორგანიზაციის მიერ, ან დასკვნის ხელმომწერი ექსპერტები დარეგისტრირებულნი უნდა იყვნენ სსიპ ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტოში.

7. გარემოს დაცვითი სამოქმედო გეგმა

მიმწოდებელმა წინასწარი შესწვლის გზით უნდა მოახდინოს, პროექტის ფარგლებში მოსალოდნელი გარემოს დაცვითი სამოქმედო გეგმის მომზადება სახიდე გადასასვლელების და მათთან მისასვლელი გზების მშენებლობის სამუშაოებისათვის, ხოლო აღნიშნულ დოკუმენტაციაზე დაყრდნობით სახიდე გადასასვლელის მშენებლობის დაწყებამდე უზრუნველყოს გარემოს დაცვითი გადაწყვეტილების მიღება.

განისაზღვროს სამუშაოთა წარმოების ისეთი წესები და მეთოდები, რომლებიც უზრუნველყოფენ არსებული ბუნებრივი პირობების მაქსიმალურად შენარჩუნებას და გარემოზე უარყოფითი ზემოქმედების მინიმიზაციას; აუცილებლობის შემთხვევაში, გათვალისწინებული იქნას, ნიადაგის ჰუმუსოვანი ფენის მოჭრა და მისი დროებითი დასაწყობება შემდგომში გამოყენების მიზნით. შეირჩეს ადგილი მისი დასაწყობებისათვის და განისაზღვროს ზიდვის მანძილი; საჭიროების შემთხვევაში:

- შეირჩეს ადგილები საჭიროების შემთხვევაში გრუნტის (ფუჭი ქანები) სანაყაროს მოსაწყობად, განისაზღვროს გრუნტის ზიდვის მანძილები ობიექტამდე;
- საჭიროების შემთხვევაში საქართველოს კანონის ნარჩენების მართვის კოდექსის შესაბამისად, ნარჩენების მართვის გეგმის მომზადება;სამშენებლო მონაკვეთის განთვისების ზოლის (ბუფერის) სახელმწიფო ტყის ფონდის საზღვრებთან ზედდების შემთხვევაში, საჭიროა ტყის ფონდიდან ტერიტორიის ამორიცხვა, ამისათვის აუცილებებლია:

- საავტომობილო გზის შესაბამის ნაკვეთზე საკადასტრო აზომვითი ნახაზის მომზადება (SHP ფაილები);
- საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად სახელმწიფო ტყის ფონდიდან ამოსარიცხ ტერიტორიაზე არსებული მერქნული რესურსების წინასწარი აღრიცხვა;
- წითელი ნუსხის სახეობებზე (მათი არსებობის შემთხვევაში) დადგენილი წესით ჭრის უფლების მოსაპოვებლად საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შესაბამისი ინფორმაციის წარმოდგენა.
- იმ შემთქვევაში თუ სამუშაოების წარმოებისათვის საჭირო გახდა სახელმწიფოს ან ადგილობრივი მუნიციპალიტეტის კუთვნილ ტერიტორიებზე ხე-მცენარეების მოჭრის სამუშაოების განხორციელება, საავტომობილო გზების დეპარტამენტში წარმოადგინოს ხე-მცენარეების მოჭრის სამუშაოების განხორციელებისათვის ნებართვის მოპოვებისათვის საჭირო დოკუმენტაცია.

II. სახიდე გადასასვლელების რეაბილიტაცია

სახიდე გადასასვლელების სარეაბილიტაციო სამუშაოებისათვის რომლებიც არ შედის სარებილიტაციო

გზების შემადგენლობაში და ექვემდებარება ინდივიდუალურ რეაბილიტაციას, საჭირო საპროექტოსახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციების შედგენაზე მომსახურების გაწევა.

სახიდე გადასასვლელი მოიცავს თვით ხიდს, მისასვლელ გზებსა და სარეგულაციო და დამცავ ნაგებობებს. ხიდში იგულისხმება ხიდები, რომლებიც უზრუნველყოფენ ავტოგზის გატარებას მდინარეებზე, ხევებზე (ვიადუკი), ავტოგზებსა და რკ.გზებზე (გზაგამტარი), გრძელი ხიდები, გზის ასაწევად ტერიტორიაზე მის ქვეშ თავისუფალი სივრცის დატოვებით (ესტაკადა) და სხვა.

ობიექტების პროექტირება მოიცავს საველე-საკვლევაძიებო (ტოპოგეოდეზიური, გეოლოგიური, ჰიდროლოგიური და სხვა) სამუშაოებს, საველე მონაცემების კამერალურ დამუშავებას და პროექტირებას. ამისათვის მიმწოდებელი ვალდებულია:

- ყოველი კონკრეტული ხიდის სარეაბილიტაციო სამუშაოებისათვის საჭირო საპროექტო მომსახურება განახორციელოს ”საქართველოს საავტომობილო გზების საგზაო სამუშაოების კლასიფიკაციის ტექნიკური რეგლამენტი”-ს შესაბამისად (საუწყებო სამშენებლო ნორმები დამტკიცებული საქართველოს მთავრობის 2013 წლის 10 ივლისის #172 დადგენილებით) და ყოველ კონკრეტულ ობიექტზე საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შესადგენად გაცემული <u>დეტალური ტექნიკური დავალებით</u> განსაზღვრული მოთხოვნებით, ასევე ხელშეკრულების პირობებით; · მშენებლობის ორგანიზაციის პროექტი უნდა მოიცავდეს სამუშაოთა წარმოების გეგმა-გრაფიკს, რომლითაც განისაზღვრება მშენებლობის მიახლოებითი ვადები;
- ობიექტის სავარაუდო ღირებულების განმსაზღვრელი სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია უნდა იყოს შედგენილი რესურსული მეთოდით (ჩაშლილი ექსელის ფაილში);
- აუცილებლობის შემთხვევაში საკვლევაძიებო და საპროექტო სამუშაოების შესრულებისათვის მოახდინოს დაინტერესებულ ორგანიზაციებთან და პირებთან პროექტების საჭირო წინასწარი შეთანხმებები (რკინიგზა, გაზსადენი, წყალსადენი, ნავთობსადენი და სხვა).

1. **მომსახურეობის ძირითადი სახეობები**
   - საველე საკვლევაძიებო და კამერალური სამუშაოები;
   - საპროექტო სამუშაოები (ტექნიკური გადაწყვეტილებები და მშენებლობის ორგანიზაცია): ა) განმარტებითი ბარათი;

     ბ) საინჟინრო-გეოლოგიური და ჰიდროლოგიური დასკვნები;

გ) სამშენებლო სამუშაოების მოცულობები და უწყისები;

დ) სახიდე გადასასვლელის ყველა შემადგენელი ნაწილის (ხიდი, სარე-გულაციო ნაგებობები და მისასვლელები) კონსტრუქციული ელემენტებისა და კვანძების ზოგადი და დეტალური ნახაზები; ე) მშენებლობის ორგანიზაციის პროექტი;

- სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადება და ობიექტების სავარაუდო ღირებულების

დადგენა;

2. **საჭიროების შემთხვევაში დამტებითი მომსახურება**:
   - ხარჯთაღრიცხვების გადაანგარიშება;
   - პროექტის კორექტირება;
   - ტრასის მიმდებარე ტერიტორიაზე ეკოლოგიური დაბინძურების აღმოფხვრის ღონისძიებების დასახვა;
   - ხიდური გადასასვლელების ბურჯების საძირკვლების ტექნიკური მდგომარეობის შესწავლა;
   - გარემოზე ზემოქმედების შეფასების საპროექტო დოკუმენტაციის დამუშავება;
   - განსახლების სამოქმედო გეგმის დამუშავება;
   - სამშენებლო მონაკვეთის განთვისების ზოლის (ბუფერის) სახელმწიფო ტყის ფონდის საზღვრებთან ზედდების შემთხვევაში ტყის ფონდიდან ტერიტორიის ამორიცხვა, საქართველოს მთავრობის 20.08.2010 წ. #242 „ტყით სარგებლობის წესის დამტკიცების შესახებ“ დადგენილების შესაბამისად; საქართველოს „წითელი ნუსხით“ დაცული ფლორისა და ფაუნის სახეობების გამოვლენა;
   - საქართველოს „წითელი ნუსხით“ დაცული ხე-მცენარეების არსებობის შემთხვევაში, ხე-მცენარეების ბუნებრივი გარემოდან ამოღების უფლების მოპოვების მიზნით, შესაბამისი დოკუმენტაციის წარმოდგენა (საქართველოს მთავრობის #42 დადგენილების და საქართველოს კანონი „წითელი ნუსხისა და წითელი წიგნის შესახებ“ შესაბამისად);
   - წითელი ნუსხით დაცული ხე-მცენარეების არსებობის და მათი მოჭრის აუცილებლობის შემთხვევაში წინასწარ მომმზადდეს „საქართველოს წითელი ნუსხით“ დაცული ხე-მცენარეთა სახეობების ბუნებრივი გარემოდან ამოღებით ბიომრავალფეროვნებისათვის მიყენებული ზიანის საკომპენსაციო ქმედებების პაკეტი (საკომპენსაციო გეგმა).
3. რეაბილიტაცია ითვალისწინებს
   - ხიდებზე დაზიანებული მზიდი კონსტრუქციული ელემენტების აღდგენას, ან ახლით შეცვლას საანგარიშო დატვირტვების გატარების უზრუნველსაყოფად;

- ლითონის ხიდების სამალო ნაშენებისა და სხვა კონსტრუქციული ელემენტების ნაწილობრივ დაკარგული მზიდუნარიანობის აღდგენას, ან შეცვლას, ჟანგისგან სათანადო გაწმენდას, ანტისეპტირებასა და სრულყოფილ გადაღებვას;
- ხიდის ახალი სავალი ნაწილის (შემასწორებელი ფენა, ჰიდროიზოლაცია, დამცავი ფენა, საფარი), სადეფორმაციო ნაკერების, ტროტუარების, ზღუდარების, მოაჯირების, წყალარინების სისტემების მოწყობას;
- საჭიროების შემთხვევაში, შესაძლებლობების ფარგლებში, ხიდების გაბარიტების გაუმჯობესებას;
- ბურჯების და სარეგულაციო ნაგებობების მდგრადობის უზრუნველსაყოფად დამატებითი გამაგრებების განხორციელებას. საჭიროების შემთხვევაში ახალი სარეგულაციო და დამცავი ნაგებობების მოწყობას;
- ხიდის მისასვლელებზე კონუსების აღდგენას, ხიდთან შეუღლებების უზრუნველყოფასა და მათ დაცვას წყლის ზემოქმედებისაგან. გზის საფარების აღდგენას, ან შეცვლას;
- სახიდე გადასასვლელის საგზაო ნიშნებისა და ფარების მთლიან აღდგენას, ან გზის მოძრაობის რეგულირების ტექნიკური საშუალებებით ახალი დისლოკაციის პროექტის მიხედვით აღჭურვას. ვერტიკალური და ჰორიზონტალური მონიშვნის აღდგენას, ან განახლებას;

შენიშვნა: სამუშაოებისათვის საჭირო საპროექტო და სატენდერო დოკუმენტაციების შედგენისას მიმწოდებელი იხელმძღვანელებს ზემოთ აღნიშნული განზოგადებული ტექნიკური დავალებით და ცალკეულ ობიექტებზე გაცემული დეტალური ტექნიკური დავალებით განსაზღვრული მოთხოვნებით. ამასთან, ყოველი კონკრეტული ობიექტის პროექტზე, ძირითადი ტექნიკური გადაწყვეტილებები, მიმწოდებლის მიერ, თანხმდება შემსყიდველთან.